



საგადასახადო სისტემის ფუნქცია-მოვალეობები საქართველოს ეკონომიკაში

ბიძინა ჯავშანაშვილი –
სტუ-ს დოქტორანტი
becka771@gmail.com

რეზიუმე

სტატიაში მოცემულია გადასახადების წარმოშობის ისტორია საქართველოში. ფეოდალური ხანის საქართველოში ჩამოყალიბებული სახით არის წარმოდგენილი საგადასახადო სისტემა, რაც დასტურდება უძველესი დროინდელი ხელნაწერებითა და სამართლის წიგნებით. ფეოდალური ხანის საქართველოში ჩამოყალიბებული სახით არის წარმოდგენილი საგადასახადო სისტემა, რომლითაც სახელმწიფო ხელისუფლება და ფეოდალები გადასახადებით მობილიზებას უკეთებდნენ ფინანსურ რესურსებს, რითაც ფეოდალური სამთავროები აფინანსებდნენ აუცილებელ ღონისძიებებს. ფეოდალები თავიანთი შეხედულებების მიხედვით აწესებდნენ გადასახადების ოდენობას, სახეებს. გადასახადების აბსოლუტური უმრავლესობა სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების განვითარების დაბალი დონის გამო ნატურალური ფორმით იყო წარმოდგენილი. რაც

შეეხება თანამედროვე საქართველოს საგადასახადო სისტემის ფუნქცია-მოვალეობები შეიძლება მარტივად დავყოთ შემდეგნაირად: ფისკალური ფუნქცია, რომლის მეშვეობითაც ხდება გადასახადების მთავარი საზოგადოებრივი დანიშნულების – სახელმწიფოს ფინანსური რესურსების ფორმირების რეალიზაცია, რაც აუცილებელია სახელმწიფოს არსებობისთვის, თავისი მოვალეობების განსახორციელებლად. გადანაწილების ფუნქცია, რომლის მეშვეობითაც სახელმწიფო ახდენს საზოგადოების სხვადასხვა სოციალურ ფენებს შორის შემოსავლების გადანაწილებას. მარეგულირებელი ფუნქცია, რომლის მეშვეობითაც წარმოებს მოთხოვნა-მიწოდების რეგულირება, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის სტიმულირება, მოსახლეობის მიერ ფინანსების დაზოგვის სტიმულირება, ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა, ექსპორტი-იმპორტის საქმიანობის რეგულირება და ა.შ.

1) გადასახადების წარმოშობის ისტორია საქართველოში.

გადასახადების არსის წარმოშობა დაკავშირებულია სახელმწიფოს წარმოშობასთან, რადგან სახელმწიფოს არსებობა მოითხოვს დიდ რესურსებს თავისი მოვალეობების განსახორციელებლად. სწორედ ეს გახდა საფუძველი სხვადასხვა სახის ბეგარის შემოღების, რითაც დაიბეგრა ქვეყნის მოსახლეობა.

გადასახადების შემოღება, მისი სახეობები, განაკვეთები, დასაბეგრი პირები და დაბეგვრის ობიექტები განსაზღვრულია საქართველოს საგადასახადო კოდექსით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს საკანონმდებლო ორგანო, იგივე პარლამენტი.

საქართველოში გადასახადები უძველესი დროიდან არსებობს, ხოლო ისტორიული წყაროებიდან დაზუსტებით შეიძლება ითქვას, რომ დაახლოებით მე-11 საუკუნიდან საქართველოში გავრცელებული იყო შემდეგი სახის გადა-

სახადები: ბეგარა, ღალა, ხარჯა, ყალანი, საბალახე, კოდის პური, საქერივი, საპოლიციო, ვაჭრობისა და უძრავი ქონების გადასახადი და სხვა.

ფეოდალური ხანის საქართველოში ჩამოყალიბებული სახით არის წარმოდგენილი საგადასახადო სისტემა, რომლითაც სახელმწიფო ხელისუფლება და ფეოდალები გადასახადებით მობილიზებას უკეთებდნენ ფინანსურ რესურსებს, რითაც ფეოდალური სამთავროები აფინანსებდნენ აუცილებელ ღონისძიებებს. ფეოდალები თავიანთი შეხედულებების მიხედვით აწესებდნენ გადასახადების ოდენობას, სახეებს.

პირველი სამართლებრივი დოკუმენტი, რომელშიც ჩამოყალიბებული სახით მოცემულია საგადასახადო დაბეგვრის საკითხები, არის მანდატურთუხუცესი ბექასა და მისი შვილიშვილის აღბუღა ათაბაგ-ამირსპასალარის „სამართლის წიგნი“. მასში ხაზგასმულია, რომ ქვეყნის ეკონომიკის წამყვანი დარგია სოფლის მეურ-



ნეობა, ამიტომ მიწის მესაკუთრეების - თავადების ინტერესების დაცვა ქვეყნის აღორძინების საფუძველია. ხოლო ის პირები, ვინც მიწას ამუშავებენ ბატონებს უხდიან მიწის რენტას.

გახტანგ VI კანონებში გადმოცემულია საკუთრებისა და გადასახადების შესახებ, მის მიერ შედგენილი „დასტურლამალი“. განსაკუთრებით დიდია მისი მნიშვნელობა საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლისათვის. მასში დაწვრილებით არის გათვალისწინებული საგლეხო გადასახადები მეფისა და დედოფლის მამულებში. სამეფო და სადედოფლო გლეხებისათვის ერთიანი გადასახადების დაწესება საკანონმდებლო გზით პროგრესული ნაბიჯი იყო. დასტურლამალი კრძალავდა სამეფო და სადედოფლო სოფლებში მოხელეების თვითნებობას და მაგალითსაც აძლევდა ფეოდალებს გადასახადების დაწესების საქმეში. „დასტურლამალში“ გლეხების გადასახადები შემდეგ სახეობად არის დანაწილებული: სახელმწიფო, სამოხელეო, საფეოდალო, ექსტრაორდინალური ანუ ფეოდალის ოჯახში მომხდარ რაიმე შემთხვევასთან (ქორწილი, სიკვდილი და სხვა) დაკავშირებული და საეკლესიო გადასახადები. „დასტურლამალი“ იძლევა გადასახადების განაკვეთებს, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების განვითარების დაბალი დონის გამო ნატურალური ფორმით იყო წარმოდგენილი.

გვიანფეოდალურ საქართველოში არსებობდა: **შრომამიგებითი რენტა, რენტა** პროდუქტებით, და ფულადი რენტა. სასაქონლო-ურთიერთობის განვითარების კვალობაზე ბატონყმური მეურნეობა გლეხისაგან ითხოვდა ფულად რენტას, ფულად გადასახადს. ამდენად საქართველოში საგადასახადო დაბეგვრა უპირატესობას ანიჭებდა გადასახადის ნატურალურ ფორმას, რომელიც მე-20-ე საუკუნის დასაწყისში ფულადმა ფორმამ შეცვალა.

2) საგადასახადო სისტემის ფუნქციები თანამედროვე საქართველოში.

გადასახადის ძირითადი არსია მთლიანი შიდა პროდუქტის ნაწილის ამოღება სავალდებულო შენატანების სახით საზოგადოების სასარგებლოდ. სახელმწიფოს ეკონომიკურ საფუძველს ქმნის გადასახადები, რომლის გარეშე მას არსებობა არ შეუძლია. სახელმწიფო მისი სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ფუნქციების შესასრულებლად მიმართავს ფულადი რესურსების მობილიზაციას. აქ კი მნიშვნელოვანია ხელისუფლების უნარი, სწორად გაარკვიოს, ოპტიმალურად გამოითვა-

ლოს აუცილებელი ხარჯების მოცულობა და მის დასაფინანსებლად საჭირო შემოსავლები.

გადასახადებისა და სახელმწიფოს გაჩენის პირველივე დღეებიდან გადასახადების სიდიდე და საგადასახადო ტვირთი პირდაპირ კავშირშია სახელმწიფოს ხარჯებთან. სახელმწიფო ხარჯები და გადაწყვეტილებები საგადასახადო დაბეგვრის სფეროში არის სახელმწიფოს ფისკალური პოლიტიკა.

ფისკალური ფუნქცია. ფისკალური ფუნქციის მეშვეობით ხდება გადასახადების მთავარი საზოგადოებრივი დანიშნულების-სახელმწიფოს ფინანსური რესურსების ფორმირების რეალიზაცია. საბაზრო ეკონომიკის პირობებში გადასახადებისათვის დამახასიათებელია ფისკალური და მარეგულირებელი ფუნქცია. ფისკალური ფუნქცია (ფისკა-ხაზინა) გამოვლინდება სახელმწიფოს ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფაში, რომელიც აუცილებელია სახელმწიფოებრივი ამოცანების გადასაწყვეტად. იგი დამახასიათებელია ყველა სახელმწიფოსათვის. მისი განვითარების ყველა ეტაპზე, რომლის მეშვეობითაც იქმნება ცენტრალიზებული ფულადი ფონდი სახელმწიფო ბიუჯეტის ან ცენტრალიზებული ფონდების სახით და უზრუნველყოფს სახელმწიფოებრივი ფუნქციონირებისათვის მატერიალურ პირობებს. ხელისუფლება გადასახადების ფისკალური ფუნქციის მეშვეობით უზრუნველყოფს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებსა და ხარჯებს შორის დაბალანსების მიღწევას. საბიუჯეტო სისტემის სხვადასხვა რგოლს შორის საგადასახადო შემოსავლების თანაბარზომიერ გადანაწილებას. მის წინაშე მდგარი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ამოცანების გადაწყვეტას. გადასახადების ფისკალური ფუნქციის მნიშვნელობა საბაზრო ეკონომიკის პირობებში არსებითად შეიცვალა. გადასახადებს ფაქტობრივად ჩამოსცილდა ექსპლოატატორული ხასიათი განსაკუთრებით ეს ნათელია სოციალური ორიენტაციის ქვეყნებში. განვითარებული ქვეყნების სახელმწიფო ბიუჯეტების შემოსავლების მნიშვნელოვანი ნაწილი ხმარდება არამარტო საკუთარი მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებას, არამედ განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას. ამასთანავე განვითარებული ქვეყნები დიდ ყურადღებასა და ძალისხმევას იჩენენ მშობლიურ შენარჩუნების, ეკოლოგიური წონასწორობის, სხვადასხვა ანომალური პროცესების თავიდან აცილების ღონისძიებათა დასაფინანსებლად.

გადანაწილების ფუნქცია. ამ ფუნქციის მეშვეობით სახელმწიფო ახდენს საზოგადოებ-



ის სხვადასხვა სოციალურ ფენებს შორის შემოსავლების გადანაწილებას. აღნიშნული შეიძლება გამოხატულ იქნას სახელმწიფოს სუბსიდირებაში სოციალურად დაუცველი, პენსიონერი, მრავალშვილიანი, თუ სხვა მიზეზის მქონე დაბალშემოსავლიანი ინდივიდებისა და ოჯახების დახმარების პროგრამებში. ასევე, გადანაწილების ფუნქციის მეშვეობით, სახელმწიფოს შეუძლია წახალისოს ეკონომიკის რომელიმე მიმართულება სახელმწიფოებრივი მიზნობრიობიდან გამომდინარე.

მარეგულირებელი ფუნქცია. ამ ფუნქციის მეშვეობით წარმოებს: მოთხოვნა-მიწოდების რეგულირება, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის სტიმულირება, მოსახლეობის მიერ ფინანსების დაზოგვის სტიმულირება, ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა, ექსპორტ-იმპორტის საქმიანობის რეგულირება, ეროვნულ ვალუტაზე ზემოქმედება - ფულის მასის ეკონომიკიდან ამოღების და დარეზერვების საშუალებით. გადასახადების მარეგულირებელი ფუნქციის მეშვეობით გადასახადები, როგორც წარმოებით ურთიერთობათა სპეციფიკური ფორმა გავლენას ახდენს წარმოების ფაქტორებზე - შრომასა და კაპიტალზე. სახელმწიფო ეკონომიკის რეგულირებას ახდენს საგადასახადო დაბეგვრის სისტემის

ცვლილებებით, საგადასახადო განაკვეთებისა და შეღავათების ეფექტურად გამოყენებით. გადასახადების მარეგულირებელი ფუნქცია ეკონომიკის რეგულირებისათვის იყენებს ლიბერალურ და მკაცრ საგადასახადო მოდელებს. პირველ შემთხვევაში დაწესებულია დაბალი საგადასახადო განაკვეთები და შეღავათებით მრავალფეროვანი საგადასახადო შეღავათები, რითაც გადასახადის გადამხდელებს შემოსავლების მნიშვნელოვანი ნაწილი რჩებათ საინვესტიციო საქმიანობისათვის. რეგულირების ლიბერალური მოდელი ხელს უწყობს ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპის მიღწევას. ამაღლებს საქონლის კონკურენტუნარიანობას და აჩქარებს რეალიზაციას. რაც შეეხება მკაცრ საგადასახადო მოდელს ამ დროს დაწესებულია მაღალი საგადასახადო განაკვეთები და შეღავათებით ნაკლები საგადასახადო შეღავათები, რითაც გადასახადის გადამხდელებს შემოსავლების მნიშვნელოვანი ნაწილის გადახდა უწევთ სახელმწიფოსთვის. რეგულირების მკაცრი მოდელი ხშირ შემთხვევაში ხელს უშლის ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპის მიღწევას, მაგრამ არსებობს არაერთი შემთხვევა, როცა რეგულირების მკაცრი მოდელი ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპის საწინდარია.

გამოყენებული ლიტერატურა

- 1) ლ. ბახტაძე, რ. კაკულია, მ. ჩიკვილაძე. „საგადასახადო საქმე“ თბილისი, 2007.
- 2) რ. კაკულია „ფინანსების თეორია“ თბილისი, 2004.
- 3) გ. იმედაშვილი „საგადასახადო საქმე“

- თბილისი, 2010.
- 4) Mof.ge
- 5) Rs.ge
- 6) Taxinfo.ge
- 7) Wikipedia.org

THE TAX SYSTEM FUNCTIONS AND RESPONSIBILITIES OF THE GEORGIA ECONOMY

BIDZINA JAVSHANASHVILI - PhD of GTU
becka771@gmail.com

Summary

The article presents the history of taxes in Georgia. Feudal Georgia in the form set forth in the tax system, as evidenced by the ancient era Manuscripts and law books. Feudal Georgia in the form set forth in the tax system, which taxes the government and the feudal lords to a mobilization of financial resources, which the feudal principalities of the measures was financed. Payments and the faces were imposing feudal lords in their own image. Because of low level of commodity-monetary relations the vast majority of taxes was submitted natural form. As for nowadays the

country's tax system can easily be divided into the following functions and responsibilities: fiscal function, by which formation the taxes for public purposes resources, which is necessary for the existence of the state, to carry out its duties. Distribution function, by which the distribution of income among the various social groups in society. Regulatory function, which is made in the regulation of supply and demand, to stimulate scientific and technical progress, the population's financial savings incentives, business development, export-import regulation, etc.